სამშობლო

სამშაბათი
5 იანვარი
წელიწადი II.

ფასი: წლიურად 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., [illegible] 4 მ. ცალკე ნომერი [illegible] ტებით 7 კ. წლიური ხელის მომწერთ [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ [illegible] მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დოის 15 კ. [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან გაცხადების [illegible] განცხადების ფასი: სტრიქონი [illegible] 30 კაპ., უკან 20 კ. სამკვლევიარო განცხადების დაბეჭდვა ოთოეჯერ ნაშუადღევის 2 საათ. დოის 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 255 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 255

ტელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მიჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

ითანამშრომლებენ ეროვნული დემოკრატიული მიმართულების საუკეთესო ძალები

რადგან ამ დღეებში ქაღალდის ფასმა კიდევ მოიმატა წლიურად გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურად 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ. დამატებით 7 კ. პროვინციაში თვიურად დაკვეთა არ შეიძლება, ადგილობრივ კი თვიურად დაკვეთა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვში.

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს—4 მანეთი, პირველ ივლისს—3 მანეთი და ენკენისთვეში 2 მან.

სოფლის მოამბეებს დასტამბულ კორესპონდენციაში მიეცემათ სასყიდელი.

წერილები უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვეულისა და სუფთა ხელით. დაწუნებულ წერილმან წერილებსა და ლექსებს რედაქცია არ შეინახავს და არც კისრულობს არავითარ მიწერ-მოწერას მათ შესახებ.

ადგილობრივ და თვიურ ხელის მომწერთ, ვინც პირველ იანვრამდე ხვედრ ფულს არ წარმოადგენს, გაზეთი არ გაეგზავნებათ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**

მწუხარებასა შინა მყოფნი **ვლადიმერ ჯიბოს ძე** და მეუღლე მისი **პუპი ლევანის** ასული, ალექსანდრე ვლადიმერის ძე და მეუღლე მისი ნინა ბესარიონის ასული, ირაკლი ვლადიმერის ძე წერეთლები, ნადია ვლადიმერის ასული და მეუღლე მისი ვასილ ბერეჟიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას მათი ძვირფასი სიძის, სამთო ინჟინრის

ვასილ დენტორის ძის წერეთლისას,

რომელიც გარდაიცვალა სოხუმში 1 იანვარს. ქუთაისის რკინის გზის სადგურზე მოასვენდება 5 იანვარს იმ დღესვე წასვენდება სოფ. სვერს, სადაც დაიკრძალება 7 ამა იანვარს.

1916 წ.
იანვარი
6
ოთხშაბათი

ვალერიან გუნიას გასტროლი.

„ქართული დრამა“. № 38

ქალაქის თეატრი.

დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე

კლასიკური ტრაგედია

მეფე ლირი

5 მოქმ.

ანონსი: მზადდება: ახალი პიესა „ბედის ტრიალი“.

ავტორი: შექსპირი, მთარგმნელები: ი. ჭავჭავაძე, ი. მაჩაბელი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

მონაწილეობს მთელი დასი

რეჟისორი **შალვა დადიანი.**

ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 2—1

გაზეთ **„შრომის“** თანამშრომელთა თაოსნობით იანვრის გასულს ქ. ქუთაისში გამოვა ლიტერატურულ-მხატვრული კრებული.

„სხივი“

კრებულში მოთავსებული იქნება ორიგინალურ-მხატვრული და კრიტიკული წერილები.

მონაწილეობენ: **მიხ. ბოჭორიშვილი**, ია ეკალაძე, **ნიკ. მიწიშვილი, გ. მუმლაძე, ილია ნაკაშიძე, გიგო ნათაძე, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ლეო ა. შენგელაია** და სხვ.

აგრეთვე მოთავსებული იქნება **გიგა ჯულელის** დაუბეჭდავი წერილები,

ფასი კრებულისა სამი აბაზი.

მსურველთ შეუძლიათ კრებული წინდაწინ დაიკვეთონ.

მისამართი: ქუთაისი, ოზორინის ქუჩა, ნაფიცი ვექილი ივანე პავლეს ძე გობეჩია.

წიგნი დაიბეჭდება ქ. შ. წ. კ. გამავრ. ქუთ. განყოფ. სტამბაში.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

დღეს, 5 იანვარს მხოლოდ მოზრდილთათვის ნაჩვენები იქნება

გიჟური ტრფობა.

დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან 3 ნაწილად, ცნობილი მსახიობი ქალის ლიდიცია კურანტას და სხვა საუკეთესო იტალიელ მსახიობთა მონაწილეობით!

მინდა ჩემს ცოლს ვუღალატო.

ფარსი 3 ნაწილად, ო. რეიტერის მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათს 7 იანვარს 1916 წ. საუცხოვო მხატვრული პროგრამა. **„მამები და შვილები“**. კინოილიუსტრაცია ი. ს. ტურგენევის რომანისა, ქართული დრამატიული დასის ცნობილი მსახიობის **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით. დაწვრილებით პროგრამაში.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ანონსი: მხოლოდ დღეს.

სიკვდილმა გაამართლა.

საინტერესო დრამა 2 ნაწილად, იტალიელ საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

ლეონს უყვარს ბელგია და ბელგიელი ქალები

კომედია 2 ნაწილად ლეონსის მონაწილეობით.

ანონსი: ხუთშაბათიდან 7 იანვრიდან ნაჩვენები იქნება „საშკა სემინარიელი“, მეოთხე სერია (რუსი როკამბოლი). ნაწილი 1. ციმბირიდან გამოქცევა. 2—პასპორტის ძიება. 3—მე ვარ აფერა უმაღლესი მარკისა. 4—მაძებარი პოლიციის ხელში.

„სინათლის“ საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად, ქუთაისის საზოგადო საკრებულოს ახალ დარბაზში ოთხშაბათს, 6 იანვარს 1916 წ. გაიმართება

სალიტერატურო, სამუსიკო და საცეკვაო

საღამო

სახელ განთქმული ვიოლონოს დამკვრელი **ვოლფ იზრაელის**, ნიკ. ერისთვის, ი. რიშაშვილის ღ დ. მესხის მონაწილეობით.

წარმოთქმული იქნება ილია ჭავჭავაძის პოემა **„კაკო ყაჩაღი“**, ვლ. დადიანის, შოთა დადიანის, გრ. ლადიძის, ალ. ლოლაძის, აკაკი ფიღავას და დიმ. უზნაძის მიერ.

კვარტეტი ნ. შარაბიძის ლოტბარობით შეასრულებს მუსიკალურ ნომრებს.

საღამოს დასაწყისი—9 საათი.

ბილეთების ყიდვა შეიძლება შავი ქვის მრეწველთა საბჭოში დავით ქუმბარიასთან; 6 იანვარს—კლუბში.

საღამოს გამგე დიასახლისნი: თეკლე აბაშიძისა და მარიამ ანჯაფარიძისა.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. სავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ საღამ. 6—8 საათ, მისამართი: ლვოვშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

დოქტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ

გაბრიელ იოსების ძ

ექიმი გოკიელი

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტ.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფებ იღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულ ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათა დი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირ გარდა.

თბილისის ქუჩა, **№ 70**, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი

რ. პ. ხვანაძ ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ექიმი

ზ. დ. ნახარიძე შინაგა ნერვებისა და ბავშვების სნეუ ბათ ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათ და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, თაისის ყოფილი ქალაქის თავის დ ა დარი ფანიძის სახლი.

მასაჟით სამ- კურნალო

კაბინეტ

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვ სახეზე მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სი ლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ა მყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგ ვვ **ნამდვილად ვარჩენ** თავზე კანის ქერ ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის ლებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულ ადარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა დ რიგება 10 შაური. მისამართი: გუგუნლის ლორთ ქიფიანიძისსახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი.

მდგომარეობა არც ერთ ფრონტზე ოდნავადაც არ შეცვლილა. დასავლეთის ფრონტზე ისევ ისეთივე გამოურკვეველი მდგომარეობა სუფევს, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინათ იყო. შტაბის დეპეში ლაკონიურათ იუწყება, ცვლილება არ მომხდარაო. სჩანს, ორივე მოპირდაპირე ახლა მზადებაშია, რომ სულ ახლო მომავალში მოქმედება დაიწყონ.

სამაგიეროთ კავკასიის ასპარეზისკენ ოსმალონი ამოძრავდენ. ეს რამდენიმე ხანია ისინი შეტევის გზას დაადგენ და იერიშები მოაქვთ, უმეტეს ნაწილათ ჭოროხის ხეობაში. როგორც მოსული დეპეში იუწყება, ახალს წელს კავკასიის ფრონტზე დიდი ბრძოლა მომხდარა. ამ ბრძოლაში ოსმალონი დამარცხებულან. გარკვევით ნათქვამი არ არის, თუ რა შედეგი მოყვა ამ ბრძოლას. ალბათ, ბრძოლა ისევ სწარმოებს.

სპარსეთში რუსის ჯარი წინ მიიწევს და ის ახლა ქერმანშახს უახლოვდება. ჰამადანიც და ქერმანშახის შუა გზაზე მომხდარ ბრძოლაში მტერი დამარცხებულა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მესოპოტამიაში მომქმედი ინგლისის ჯარი ოსმალებთან ბრძოლაში დამარცხდა და სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა. იტყობინებოდენ, შეიძლება ინგლისის ჯარი დღესაც სახიფათო მდგომარეობაში იმყოფებოდეს, მაგრამ ოფიც. დეპეშის მიხედვით, მისი მდგომარეობა იმდენათ გაუმჯობესებულა, რომ ხელ-მეორეთ ჩაბმულა ოსმალებთან ბრძოლაში. კუტლამარეს (ტიგროსზე მდებარეობს) აღმოსავლეთით მომხდარ ბრძოლის დროს ოსმალონი დამარცხებულან და უკან დაუხევიათ.

* * *

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 31 დეკემბერი. გალიციაში მდ. სტრიპას შუა ნაწილით, მოპირდაპირემ ქარბუქით ისარგებლა და ორჯერ იერიშს შეეცადა დობროპოლის რაიონში, მაგრამ ორივეჯერ მოვიგერიეთ სროლით. ამ რაიონში, რომელიც ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, მოპირდაპირე იძულებული გახდა თხრილების ნაწილი დაეტოვებინა. ეს თხრილები ჩვენ დავიჭირეთ.

შავი ზღვა.

29 დეკემბერს ჩვენმა ნაღმოსნებმა მოსპეს მოპირდაპირის წყალქვეშა ნავი, რომელიც ანატოლიის ნაპირით [illegible]. მათვე მოსპეს ორი იალქნიანი გემი, ქვანახშირით დატვირთული.

კავკასიის ბრძოლის პირი

მდ. არხავეს ველით სროლით გავფანტეთ ოსმალთა რაზმი, რომელიც პოზიციას ამაგრებდა. არჯიშის რაიონში, სოფ. ხავსუნენქთან შეტაკებანია ქურთების ძლიერ რაზმებთან.

პეტროგრადი. 1 იანვარი, დასავლეთის ასპარეზი. არავითარი ცვლილება არაა.

კავკასიის ასპარეზი.

ბრძოლის დროს ხელში ჩავიგდეთ 300-ზე მეტი ოსმალოს ასკერი და 4 ზარბაზანი. ქურთების რაზმი, რომელმაც შემოგვიტია არჯიშის ჩრდილო-დასავლეთით, უკუვაქციეთ დასავლეთისკენ.

პეტროგრადი. 3 იანვარი. დასავლეთის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ასპარეზი.

პირველ იანვარს მომხდარ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 20 ოფიცერი, 400-ზე მეტი ჯარის კაცი; 6 ზარბაზანი მათ შორის ერთი მძიმე საველე და 8 ტყვიის მფრქვეველი ვიხელთეთ. და აგრეთვე ბევრი სამხედრო დოვლა. სპარსეთში კიანგავერთან მომხდარი ბრძოლის დროს ქამადანსა და ქერმანშახის შუა მოპირდაპირეს ტყვეები წავართვით. გარდა ამისა, მტერმა ბრძოლის ველზე ბევრი მოკლული დასტოვა. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. ქამადანის სამხრეთ აღმოსავლეთით გერმანელებისა და ოსმალებისაგან შემდგარი რაზმი უკუვაქციეთ დასავლეთისაკენ.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 2 იანვარი. საღამოს ოფიც. ცნობა. გარდა გაცხოველებული მოქმედებისა შამპანში არგონებსა და ვევრში, მთელს ფრონტზე შესამჩნევი არაფერი მომხდარა.

აღმოსავლეთის ფრონტზე 1 იანვარს დილით, მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს ჯემში კუხუსსა და დაგანჯის ჩრდილო-აღმოსავლეთით. რამდენიმე ბერძენი ჯარისკაცი დაიჭრა, ერთი მოკვდა.

ჰავრი. 2 იანვარი. ბელგიის ცნობა. მთელს ფრონტზე გასულ ღამიდან საარტილერიო სროლა განახლდა. ჩვენ მოვახერხეთ რამდენსამე პუნქტზე თავდასაცავ ხაზებზე მომუშავე მტრის გაფანტვა.

სტოკჰოლმი. 31 დეკემბერი. გერმანიის მთავრობამ მხოლოდ მაშინ მისცა ნება შვეციას შეკვეთილი მანქანები წაეღო საფოსტო [illegible], როცა სანაცვლოდ გერმანიაში შემოიტანა 40 კილო სპილენძი.

პარიზი. 31 დეკ. დღის ოფიციალური ცნობა სომმასა და ავრას შორის მტერი ცდილობდა სადარაჯოს ხელში ჩაგდებას, მაგრამ ამაოდ. შამპანში მოვიგერიეთ გერმანელების ორი იერიში.

საღამოს ოფიც. ცნობა არტუაში საარტილერიო სროლა გავაჩაღეთ ლილის გზის სიმაგრეებს ვესროლეთ და დავანგრიეთ ზოგიერთ ადგილას მტრის საფარი და სანგარი, არგონებში ავაფეთქეთ ნაღმი ფილმორტთან და ვოკუასთან. სხვა ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჰავრი. 30 დეკემბერი. ბელგიელების ცნობა. მთელი ბრძოლის პირით არტილერიის სროლაა, მეტადრე სტეენსტრატეს ჩრდილოეთ რაიონში.

ლონდონი. 30 დეკემბერი. ინგლისის მთავარ შტაბის ცნობა საფრანგეთიდან. საფრანგეთში ღამით ჩვენი რაზმი მოულოდნელად დაეცა გერმანელების თხრილებს არმანტიერის აღმოსავლეთით, მოჰკლა და დაჭრა 20 კაცი, ტყვიისმფრქვეველის საფარი აფეთქეს და 2 კაცი დაატყვევეს. ვერმეხში, ვიელცეში და პილკიმში დღე არტილერიის სროლა სწარმოებდა.

ლონდონი. 3 იანვარი. დელიდან დეპეშით იუწყებიან: ინგლისის მთავარი ბანაკის ოფიციალური ცნობიდან სჩანს, რომ გენერალ ელმერის ჯარი შეებრძოლა ოსმალთა ჯარს ტიგრის ორივე ნაპირზე ტელამარის აღმოსავლეთით 25 მილის მანძილზე. გაცხარებული ბრძოლა, რომელიც 31 დეკემბერს დაიწყო დილამებამდი გრძელდებოდა. ოსმალთა უკუნ დახევა მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. ინგლისელები მტერს ენერგიულათ ავიწროებენ.

რომი. 2 იანვარი. მთავარი ბანაკის ცნობა. საარტილერიო ცეცხლი მთელს გუშინდელ დღეს ძლიერ სუსტი იყო ტრენტინოს ფრონტზე და კარნიაში, ხოლო ძლიერი იგი იზონცოს ფრონტზე. განსაკუთრებით სასტიკი საარტილერიო ბრძოლა იყო გერცის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მაღლობებზე. ჩვენი არტილერია ენერგიულათ უპასუხებდა. კარსოსთან ჩვენმა არტილერიამ მკვირცხლი ცეცხლი დაუშინა მტრის სიმაგრეებს სელმინოლოს მთის რაიონში, სადაც მტრის სანგრები განადგურებულ იქნა 400 მეტრის მანძილზე. ერთმა ჩვენმა საჰაერო ესკადრონმა იზონცის აღმოსავლეთით ფართო დაზვერვა მოახდინა და ყუმბარები ესროლა მტრის საჰაერო ბანაკს. მფრინავებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე ჯარისკაცთა ბარაკებზე ჩაპოვინოში, დერუმბერგში და რკინის გზის სადგურზე ლენგატიკასა და ლიუბლიანაში. მფრინავები მშვიდობით უკან დაბრუნდენ.

პარიზი. 3 იანვარი. დღის ოფიციალური ცნობა. ღამემ სიწყნარით ჩაიარა. ცვლილება არ მომხდარა.

ქ. ქუთაისი, 5 იანვარი.

თფილისის არჩევნები თბილისის არჩევნები ახლოვდება. მისი შედეგები ჩვენთვის უკვე საიდუმლოება აღარ არის.

საქართველოს დედა-ქალაქი, დიდი ხანი სხვის ხელშია და როგორც წინეთ თფილისის საქალაქო არჩევნები, ეხლაც ყოველ ქართველის გულში მწვავე ტკივილებს გამოიწვევს.

„ნუ გავყვებით სანტიმენტალობს, ნუ ავიშლით გრძნობებს, ნუ ვცდილობთ სამღუროვით და სამართლიანობაზე ღაღადით დავიბრუნოთ ის, რაც ჩვენი ცხოვრების ჩვენის უთაურობით და უკულმართობითა დაგვეკარგავს...

აბა, ვის შევარცხვენთ წარსულის მოგონებებით, რომ ჩვენმა ქვეყანამ გაჭირვებულთ, დევნილთ კარი გაუღო და თავის მიწაზე ბინა მიუჩინა? რომ მათ ჩვენს ქვეყანაში თავი უცხოთ, სტუმრათ არასოდეს არ უგრძვნიათ, და დღეს თვით ჩვენ, ჩვენს მშობლიურ კერასთან გარეშენი შევიქენით. და ისინი კი ბატონ პატრონნი? რათ მოხდა ეს, არც თუ ძნელი გამოსაცნობია...

ჩვენ მამაპაპათ და თვით ჩვენი შეცდომები რომ შეგვესწავლა... ჩვენი ცხოვრების უკულმართობა რომ გამოგვერკვია... რომ ცხოვრებაში გვემოქმედა, გვეშრომა და არ გვეოცნება მხოლოთ, დღეს არ მოგვევლინებოდა ეს ეროვნული დამცირება, შეურაცხყოფა..

დღეს ჩვენ ჩვენი დედა ქალაქის შესავალ კარებთან ვდგევართ და ვერ გადაგვიწყვეტია—ვეცადოთ შიგ შესვლა, თუ [illegible] შეურაცხყოფილნი გვეცილდეთ ჩვენ წმინდათა წმინდას გავცილდეთ დროებით მაინც, ვინაიდან ჩვენ გვწამს ჩვენი მომავალი.

ქალაქის არჩევნები? უკვე გამოირკვა, რომ ჩვენ აქაც ვერ დავადგებით იმ გზას, რომელიც ჩვენ თფილისში მესაფერ ადგილს მოგვანიჭებდა... ასეთი საერთო, მწვავე ეროვნული საქმეც ვერ აბერხებს ჩვენი დაქსაქსული და სულიერათ ურთიერთ დაშორებული ნებისყოფის შეერთებას.

თფილისის ხელში უკავია მტკიცეთ შეკავშირებულ ხანგრძლივ[illegible] ბულ ძალას. ჩვენ კი ერთმანეთს[illegible] შევებრძოლებით ამ[illegible] ქართველი ინტ[illegible] ქართველ ვაჭარს თუ მემამულეს...

დასელები თუ სოციალისტ-ფედერატები მოუწოდებენ „დემოკრატიას“ იმის საშუალებით აპირებენ თფილ[illegible] დღევანდელ ბატონ-პატრონების გა[illegible]ნას. ისინი აკავშირებენ იმათ, ვისაც ჩვენებში ხმა არ აქვს. იმ ქართველ[illegible] უცხო ტომთა ელემენტებს კი, რომე[illegible] „დემოკრატიას“ არ ეკუთვნიან, ზურგს უქცევენ. თფილისის მებატ[illegible] აბა ამაზედ უკეთეს სამსახურს ვინ [illegible]წევს?

დიახ, ჩვენი სოციალისტები „ბრძო[illegible] ეწევიან თფილისის არჩევნების გარ[illegible] მაგრამ მიბრძანეთ, ვის წინააღმდეგ [illegible] მიმართული ეს ბრძოლა? სიტყვით [illegible] ძვიან თფილისში გაბატონებულ [illegible] პლუტოკრატიას და ფაქტიურათ კი, [illegible] საქმით კი, ისინი მას დიდს სამ[illegible] უწევენ, მის ბატონობას ამტკიცებ[illegible]

„სომხის პლუტოკრატიას“ შე[illegible] არხეინათ და ღიმილით უცქერის [illegible] სოციალისტების „საარჩევნო ბრძო[illegible] ეს ბრძოლა მათთვის გასართობია.

საჭიროა თუ არა ასეთს პირო[illegible] თფილისის არჩევნებში მონაწილ[illegible] მიღება, ფაქტიური შედეგები ჩვენ[illegible] „კის და არის“ ერთი ექნება.

ჩვენი სოციალისტების მეოხებით [illegible] თელი ამომრჩევლები თფილისის [illegible] ბისთვის საშიშ ძალას აღარ წარ[illegible]ნენ... და ქართველი კიდევ სა[illegible] ლის დედა ქალაქის გარეშე დარჩება.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

სამ იანვარს, ქუთაისის ქართულ [illegible]ნოგრაფიულ საზოგადოების გამგე[illegible] თაოსნობით, საადგილ მამულო ბა[illegible] დარბაზში გაიმართა ფრიად საყურად[illegible]ბო საღამო—მოხსენება. მოხსენება [illegible] კითხა ახალგაზრდა და დიდათ ღირსე[illegible]მა მუშაკმა ს. რ. გორგაძემ „[illegible] მართლწერის შესახებ“.

პატივცემულმა ლექტორმა [illegible] მართლწერას დაუდო რამდენიმე [illegible] რადლებო პრინციპი და ამ პრინციპების მიხედვით სავსებით დაასაბუთა [illegible] დებულებანი. ეტყობა პატივცემულ [illegible] ვარს ბევრი უმუშავნია და ბევრი [illegible] ფასი მაგალითებიც მოიყვანა.

საღამოს გარდა ეთნოგრაფიული [illegible] გადოების წევრებისა დაესწრენ [illegible] კოსი ს. ხუნდაძე, ქართული ენის მას[illegible] ვლებლები, მრავალი საპატიო პირი [illegible] ახალგაზრდობა.

სოციალური უტოპიები

წერილი პირველი.

როდესაც კაცი ამ ქვეყნად თავის ბუნებრივ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ საშუალებათ ვერ პოულობს, მისი ოცნება სხვა ქვეყანას ეძებს და მისი სანატრელი იდეალი სინამდვილესთან კავშირსა სწყვეტს.

თავისი მხრით საოცნებო, სანატრელი იდეალი კიდევ უფრო ღრმა [illegible] უფსკრულს სინამდვილესა და უტოპიას შორის. უტოპისტსა სწამს მომავალი ბედნიერება და აღარა ცდილობს გაიუმჯობესოს დღევანდელი ბედი. და იმავე დროს ის სინამდვილეში მხოლოდ უარყოფით მხარესა ხედავს და ამის გამო საშინელ მწუხარებასა და სასოწარკვეთილებას განიცდის.

ჩემ წინ დევს წიგნი პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის, ა. ი. იაციმირსკის, „ახალი პოლონური ლიტერატურა“, რომელიც ჩემი აზრის საუკეთესო საილუსტრაციო მასალას წარმოადგენს.

მეცხრამეტე საუკუნის დიდ დემოკრატიულ მოძრაობაში უარყოფითი მხარე სჭარბობს დადებითს. სოციალისტი და არა სოციალისტი—ყველა უარყოფს ძველ ცხოვრებას, მაგრამ ვერ პოულობს ახალსა და აქედან გამომდინარეობს ეგრედ-წოდებული მსოფლიური მწუხარება.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანაში [illegible] მწუხარების საუკეთესო განსახიერებას ბაირონის პოეზია წარმოადგენდა. ქართულ ლიტერატურაში იგივე იდეა ნ. ბარათაშვილის პოეზიაში გამოჰკვეთს. და არ არის არც ერთი ეროვნული ლიტერატურა, რომ ეს ნაკლული არა ჰქონდეს შერეული.

მოვიყვანოთ ამის დასამტკიცებლად ზოგიერთი მაგალითი ახალი პოლონური ლიტერატურიდან.

ტეტმაიერი (დაიბადა 1765 წ.) პოლონელი მოდერნისტების მეფედ და „პოეტთა პოეტად“ ითვლება. მისი პოეზია 90 წლების სულიერი დაცემისა, უენერგიობისა და სასოწარკვეთილების განსახიერებას წარმოადგენს. ამ დროს აღარა სწამდათ რა, აღარც მეცნიერება, აღარც საზოგადო იდეალი, აღარც პირადი ბედნიერება. ყველა საკუთარ დარდსა და სასოწარკვეთილებას შეეპყრო და ურწმუნოება ან უდოგმატობა მოარულივით მოსდებოდა საზოგადოებას.

დამახასიათებელია, მაგალითად, ტეტმაიერის მოთხრობა—„სიკვდილის ანგელოზი“. მაღალ ნიჭიერი ხელოვანი რძავიჩი თაყვანსა სცემს სილამაზეს, როგორც ძველი ბერძენი. ცხოვრებაში მას ხშირად აკლია გამბედაობა, მერყევია და უწონასწორო, მაგრამ, როგორც ხელოვანი, ის შემოქმედებითი ენერგიისა და უძლეველი გულის თქმის განსახიერებას წარმოადგენს—მის ხელში მარმარილო თრთის, სცოცხლობს.

მაგრამ, ცხოვრების წინაშე ის, როგორც უბრალო მოკვდავი, თვითონა თრთის. მას აღარა სწამს მეცნიერება, გული ყველაფერზე აცრუებია, მარტო სილამაზე—და ეტრფის და თაყვანსა სცემს განსაკუთრებით ქალს, როგორც მშვენიერების უკიდურეს განსახიერებას. და მხოლოდ ქალის სიყვარულში ხედავს ცხოვრების დედა-აზრს, თავის ბედსა და უბედობას. მას შეუყვარდება ახალგაზრდა მარია ტეჟვეცკაია, რომელსაც რძავიჩის ხელოვნური შემოქმედებისა არა გაეგება რა და რომლის სული და გული სალონეში უბრალო დროს-ტარებას გადაყოლია.

რძავიჩი საშინელ ზნეობრივ ტანჯვას განიცდის. ის ამტვრევს „სიცოცხლის ანგელოზის“ ქანდაკებას, რომელშიაც განასახიერა მარიას სიცოცხლის ძალა და სიხალისე, და ქმნის ახალს, „სიკვდილის ანგელოზს“, რომელსაც იგივე გარეგანი სილამაზე აქვს, მაგრამ, რომელიც დამცინავისა და ბოროტი გამომეტყველებით მის წინ განართხულ მონას—ფეხით სთელავს. რძავიჩმა ვერ ნახა ნუგეში კეთილსა და პატიოსან როსსენსკაიაში, რომელიც მას ახალი ცხოვრებისათვის მოუწოდებდა, რადგან მარიასადმი სიყვარული გულიდან ვერ ამოეგლიჯა, და მან დაამტვრია კვერით „სიკვდილის“ ანგელოზი და შეიშალა.

სად არის აქ უტოპია? უტოპია—რძავიჩის ცალმხრივობაა. მას არა სწამს მეცნიერება, ადამიანთა თანამშრომლობა და ბრძოლა, ნათესაობა და მეგობრობა, ერთი სიტყვით, არა სწამს ცხოვრება. სწამს ცხოვრების მარტო ერთი პატარა რიგი—ხელოვნური შემოქმედება. და ეს განდგომილობაა, სალოსობაა.

მაგრამ სალოსობა არასოდეს არ ყოფილა უბიწო და მეტადრე დღევანდელი ხელოვანი ვერ უარყოფდა სავსებით ცხოვრებას. როგორც სალოსი, ის აქაც ვერ ასცდენია ცალმხრივობას და ცხოვრების მრავალფეროვნებიდან მარტო ერთი საგანი დაუსახავს სატრფიალო და სათაყვანებელ საგნად—ქალის სილამაზე.

და, ცხადია, რომ ესეც სალოსობაა. მართლაც, რა ფასი აქვს ქალის სილამაზეს თავის-თავად, ცხოვრების სხვადასხვა პირობასთან დაუკავშირებლად? რა ფასი აქვს ლამაზ ქალს, რომელსაც არ [illegible]პოება არც გონებრივი და ზნეობრივი განვითარება და არც შრომის—მოყვარეობა და რომლის ფიქრი და გონება მარტო უშინაარსო დროსტარებას მოუცავს?! ამგვარი ქალი—დედოფალია, რომელიც ბალისათვისაც კი მოსაწყენია.

ქალი—იგივე ადამიანია, რომელსაც ყოველის უწინარესად ის მოეთხოვება, რაც უფრო საჭიროა: ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე ის ისეთივე მოღვაწე უნდა იყოს, როგორც მამაკაცი. მისი სარბიელიც ფართოა და თვალ-მოუწვდომელი.

ხელოსნობა და მეოჯახეობა, ახალთაობის აღზრდა და თვითგანვითარება, საკუთარისა და საზოგადო ჰიგიენურ პირობათათვის ზრუნვა და ქველმოქმედება, სამოქალაქო მოვალეობა და სამეცნიეროსა ან სახელოვნო ასპარეზზე მუშაობა—ყველაფერი ეს ქალის ცხოვრებას სავსებით ვერც კი ამოსწურავს.

დიაღ! ნაწილი ვერ იქმს მთელობას, განყენებული, უპირობო, ცხოვრებასთან დაუკავშირებელი სილამაზე ვერ იქნება ქალის ღირებულების ჭეშმარიტ საზომად და ქალი, როგორც მამაკაცი, იმდენად ღირს, რამდენადაც ის თავის უმთავრესს, უფრო მნიშვნელოვან მოვალეობათ ასრულებს.

რძავიჩი რომ ცხოვრებას არ განშორებოდა, მისი იდეალი მარტო განყენებული სილამაზით არ შემოიფარგლებოდა და ის იმ თანამშრომელს მოსძებნიდა, რომელიც უღელს გაუწევდა და შრომას სიმძიმეს გაუადვილებდა. და, საზოგადოდ, ცხოვრებაში დედა—აზრს, შინაარსს, დაინახავდა და სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდებოდა.

[illegible]მაიერის პესიმიზმი, საერთოდ, იმაზეა დამყარებული, ვითომ კაცს არ შეუძლია ეღირსოს პირად ბედნიერებას, რ[illegible]გან თან სდევს სიკვდილის აჩრდილი.

როგორცა ვთქვით, ერთი მ[illegible] ტეტმაიერს ესმის ბედნიერება, როგორც მშვენიერებისადმი სწრაფვა, მშვენიერებას [illegible] უმთავრესად გარეგან სილამაზეს [illegible] და ამ შეხედულობას უკავშირდება [illegible] სადამე, მეორე ცალმხრივობა: სიცოცხ[illegible] არაფრად ღირს, რადგან თან ახლავს [illegible] ვდილი.

მაგრამ სიცოცხლე ვერ უარყოფს [illegible] მხოლოდ მიტომ, რომ წარმავალია. [illegible] რე კაცი ცოცხალია, მასში სიცოცხ[illegible] ენერგია სდუღს და სჩქეფს, ე. ი. მას [illegible] უხარია, ის ხედავს, ისმენს, საზრდო[illegible] მუშაობს... ერთი სიტყვით, სიცოცხ[illegible] სიკვდილის უარიყოფაა. რა ვ[illegible] წარმავალი რომ არის? ამის გამო ის [illegible] უარყოფად ვერ შეიქნება. და, როდე[illegible] ცოცხალი არსება კვდება, მაშინ კი აღარ [illegible] ბედნიერებაა და აღარც სასოწარკვ[illegible] ლება.

ამგვარად, ვიდრე ცოცხალ არს კა[illegible] პესიმიზმი, უსაზღვრო სასოწარკვეთილ[illegible] წუხარება იმის გამო, რომ სიცოცხ[illegible] ოდესმე ადგილს დაუთმობს სიკვდილ[illegible] უაზრობაა. და ამგვარი იდეა, თუმცა, [illegible] საკვირველია, არ შეუძლია მისწვდეს სიც[illegible] ცხლე, [illegible] წამლავს მას და ბედნიერების [illegible] უბედურებასა სთესავს.

დიაღ! ის რომ ვიდარდოთ, [illegible] რომ სიკვდილია, იმას ემსგავსება [illegible] ვიდარდოთ, რატომ ტრიალობს დედამიწა, ან რატომ შედგება, მაგალითად, წყალ[illegible]ისა და მჟავბადისაგან! ამგ[illegible] დარდი მხოლოდ მაშინ ექნებოდა [illegible] ვნელობა, ბუნების კანონთა შეცვლა [illegible] ჩვენს ნებაზე ყოფილიყო დამოკიდებული და სიკვდილ—სიცოცხლის პრობლემ[illegible]

რადგანაც მოხსენების კითხვა ღამის 12 საათამდე გაგრძელდა კამათი გადაიდო მეორე დღის (4 იანვრის) საღამოს 7-დე საათამდე.

დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

◆ ამ დღეებში ქუთაისის ვაჭრებს და ურიგდება 32 ვაგონი პურის ფქვილი: 8 ვაგონი შაქარი; 14 ვაგონი სიმინდი; 7 ვაგონი თივა და 4 ვაგონი ქატო.

◆ 1 იანვარს ეფემია მესხის საბენეფისოთ დადგმულმა „მედეამ“ და მეორე დღეს „უბედურმა დღემ“ კარგად ჩაიარა. საზოგადოება ორთავეს საკმაოთ დაესწრო.

◆ გუშინ ქალაქის თეატრში წარმოადგინეს ა. შანშიაშვილის ისტორიული პიესა „უგვირგვინო მეფენი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ხალხი ბლომათ დაესწრო,

◆ 3 იანვარს, არქიერის გორაზე ვიღაც ბოროტგამზრახველებს გატეხიათ კალისტრატე ხაჭაპურიძის დუქანი და წაუღიათ ათი მანეთის სიღირალი სანოვაგე.

◆ 12 იანვარს, საზოგადო საკრებულო დარბაზში გაიმართება ტრადიციული სტუდენტთა საღამო, ცნობილი მომღერალი ქალის, საიმპერატორო თეატრის მსახიობის რ. ფ. ბერნარდის მონაწილეობით.

◆ 6 იანვარს, ქალაქის თეატრში გუნიას მონაწილეობით წარმოადგენენ „მეფე ლირს“, გუნია უკვე ჩამოვიდა და დასი შეუდგა მომზადებას.

◆ ბალახვანის ქუჩაზე მცხოვრებს მაქსიმ ფეოდოროვს, ვიღაც ვლადიმერ ჯუღელმა სრულიად უმიზეზოთ თავი გაუტეხა. ფეოდოროვი სასიკვდილოთაა დაჭრილი.

◆ არქიერის გორის თითქმის ყველა ქუჩა ანტისანიტარულ პირობებში იმყოფება. კარგი იქნება ქალაქის მამები ყურადღებას მიაქცევენ.

◆ სოფ. მექვენაში (ლეჩ. მაზრ.), 3 იანვარს, შესდგა კრება კოოპერატიულ დუქნის დაარსების შესახებ. ხალხი თანახმა გახდა დუქნის დაარსებისა და იმ დღიდანვე შეუდგა საქმეს.

◆ 22 სეკტემბერს, ქალაქ ტარნოპოლის ახლო მდებარე სოფელ ველიკა ხუდორნკაში უგზო—უკვლოთ დაიკარგა ქართველი ჯარის-კაცი კონსტანტინე ნ-ძე ღოლობერიძე, რომელიც წინანდელ ბრძოლებში დაჭრილი იყო მსუბუქათ და დაჯილდოებული მე 4-ე ხარისხის წმ. გ. ჯვრით: ვსთხოვთ, ვინც რამე იცის ზემოხსენებული პირის შესახებ, გვაცნობოს, რისთვისაც ნათესავები დავრჩებით დიდათ მადლობელი. მისამართი ქუთაისი. მესამე მებრძოლი რაზმი დ. ნ. ღოლობერიძეს.

სათეატრო ქრონიკა.

ვალერიან გუნიას გასტროლი. ხვალ, ნათლისღებას, ქალაქის თეატრში „ქართული დრამის“ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება შექსპირის კლასიკური ტრაგედია „მეფე ლირი“ „ლირის“ როლს შეასრულებს გასტროლიორი.

მზადდება 9 იანვრისათვის ახალი პიესა „ბედის ტრიალი“

მკითხველის შენიშვნები.

(გ ა კ ვ რ ი თ)

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ბატონებო, როგორ მიხარიან ხოლმე შობა-ახალწელიწად-აღდგომის გათენება და მიხარიან იმიტომ კი არა, რომ დიდი მორწმუნე ვიყო. არა, ჩემდა საუბედუროთ თუ ოდესმე რაიმე რწმენა მქონდა სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში დამიკარგეს.

თუ ოდესმე მეგონა, რომ შობა ღამეს ანგელოზები დაფრინავდენ, ცხოვრების სიდუხჭირემ დამიმტკიცა, რომ ეს მხოლოდ ტკბილი ოცნებაა, ნამდვილათ კი თვით შობა ღამესაც კი ქურდ-ბაცაცები დანავარდობენ ხოლმე და ღამის წყვდიადი ჰფარავს ადამიანის ხორცით ვაჭრობას.

თუ ოდესმე მწამდა, რომ აღდგომა დღეს ყოველივე ბოროტება ქედს იხრის მეუფე სიმართლისა და სინათლის წინაშე, დღეს დანამდვილებით ვიცი რომ ზედ აღდგომა დღეს მილიონ ადამიანის სისხლი იღვრება და ითელება ყოველივე წმინდათა წმინდა ამავე ადამიანისა... ერთის სიტყვით, დიდი ხანია გამიქრა ბავშური ოცნებანი და დღეს თუ სიხარულით ვეგებები ხოლმე შობა-ახალწელიწად-აღდგომას ეს იმიტომ, რომ ამ დღეებში განსაკუთრებული ნომრები გამოდის ხოლმე ჩვენის ჟურნალ-გაზეთებისა. ამ დღეებში ერთად გამოდიან გაზეთებში ჩვენი საუკეთესო მწერალ-მგოსნები ამა თუ იმ ჯგუფისა და, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, თავის საუკეთესო ნაგრძნობ-ნაფიქრს უზიარებენ თავის მკითხველებს.

გატეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ მეშინია, ვაი თუ ამ ჩვეულებასაც მალე მოეღოს ბოლო და იმ ტკბილი იმედების ნაცვლად, რომელსაც ყოველ წლივ განვიცდი ხოლმე, ხელში შემრჩეს უიმედობა და სასოწარკვეთილება...

ამის ნიშნები უკვე სჩანს, რადგანაც რაც დრო გადის, ჩვენი სადღესასწაულო ჟურნალ-გაზეთობა უფრო და უფრო სუსტობენ, სალიტერატურო ზნე-ჩვეულება და ტრადიციები კნინდება, წვრილმანდება.

ჩემ პატარა ბიჭობაში, იმ დროს, როცა სულ ორი სამი ჟურნალ-გაზეთი გვქონდა და როცა მწერალსაცა და მის ნაწარმოებსაც უფრო დიდის პატივისცემით ვეპყრობოდით, რედაქტორი რომელიმე გაზეთისა დიდი დღესასწაულების წინა ღამით შემოიკრებდა ხოლმე თავის გარშემო თანამშრომლებს და გულის ფანცქალით მოელოდა ნომრის გამოსვლას...

თვალები სულ კარებისაკენ გვეჭირა ხოლმე...

—აი იღება კარები, შემოდის პირმცინარი მეტრანპაჟი (უფროსი ასოთ-ამწყობი) და შემოაქვს ცხელ-ცხელი ნომრები სადღესასწაულო გაზეთისა. ყველანი გაფაციცებით მივცვივდებოდით ხოლმე ამ სასურველ მეკვლეს, რომელიმე ენა მჭევრი იღებდა ნომერს და კითხულობდა ყველა საყურადღებო წერილ-მოთხრობა ლექს-მილოცვებს. ოხუნჯობას და მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი ვგრძნობდით რომ, რაღაც კარგი და მადლიანი გვითქვამს. ცოტაოდენ სიამოვნებას მაინც მივაყენებთ ჩვენ საყვარელ მკითხველებსო და ეს გრძნობა, ეს განცდა ერთიორათ გვიორკეცებდა ძალასაც და სურვილსაც ხალხის სამსახურისას.

გაზეთის გადაკითხვის შემდეგ, იწყებოდა ჩვენებური ქართველური ნადიმი და მთელი წლის მუშაობით დაღალ-დაქანცულნი ამ ერთ დღეს ვისვენებდით სრულის მოსვენებით. ამ ერთ დღეს გადავჩხრეკავდით ხოლმე ჩვენს განცდათ და უფრო გამოცდილ თანამშრომელთაგანიდან ვსწავლობდით წესს წყობას და ადათს მუშაობისას.

დღეს კი რას ვხედავთ? რედაქტორი ხშირად დაქირავებული კაცია, თანამშრომლები ერთმანეთს ებუზღუნებიან და მათ შრომასაც არა აქვს ის წმინდა ხვავი რომლისაგანაც უნდა გამოცხვეს არა პური არსობისა, არამედ პური სულის ასამაღლებელი, გრძნობა გონების განმასპეტაკებელი...

ცოტა არ იყოს მწერლებსაც დაეკარგათ პატივის ცემა, არ ვიცი იმიტომ რომ ალია და მუსია ყველა კალამს ჰკიდებს ხელს, თუ იმიტომ რომ ბევრი ულირსი ღირსეულს არიგებს ჰკუას და ასწავლის მართლ წერას.

ყოველ შემთხვევაში ის სიწმინდე და გულწრფელობა არ ეტყობა ახლანდელ გაზეთებს, როგორი სიწმინდე და გულწრფელობაც ნიშნობლივი თვისება იყო წარსული თაობის ჟურნალ-გაზეთებისა...

„ოდეს ტურფა გაიფურდეს ალარ ღირდეს არცა ჩირადო“ უთქვამს ჩვენ გენიოსს და ლამის ეს თქმულება ჩვენ მწერლობაზედაც გამართლდეს!...

წინათ, ჩემ დროს, მწერალი ისე ემზადებოდა მწერლობისათვის, როგორც მორწმუნე ქრისტიანი საიდუმლოების მიღებისათვის. რედაქცია საყდრათ, ეკლესიად ითვლებოდა და იქ შემსვლელს ცხრაჯერ უნდა გაეწმინდა ფეხები. დღეს კი ისე შემოსტომპავენ ხოლმე რედაქციაში, გეგონებათ სადორე იყოსო.

უწინ, ამ ათი, ხუთმეტი წლის წინათ, თითოეული მწერალი, მოამბე თუ კორესპონდენტი თავის ნაწერს დასწერდა ხოლმე სუფთად, გარკვევით გარჩევით. რამდენჯერმე ჰქონდა ხოლმე გადაწერილი, მოფიქრებული, მოაზრებული და იცოდა კიდეც ჯერი თავის წერილის დაბეჭდვისა, დღეს კი სარედაქციო წერილებს ისე უწყალოთა და გაკვრით სწერენ რომ ადამიანმა ხუთი საათი უნდა ულოლიტოს, რომ ჩაიკითხოს ბოლომდე, ასო ასოს ალარა ჰგავს, ხელი ხელს! ქაღალდის რაღაც „ნაგლეჯზე“ ისე უჯღაბნია დალოცვილის შვილს, რომ გეგონია თითონაც „ვეღარ წაიკითხავს“ და ამისთანა ნაწერს ისეც გამადლის დამწერი, ისე გაჩქარებს მის დაბეჭდვას, რომ ამოსუნთქვის ნებას ალარ გაძლევს. მისთვის არც ჯერი არსებობს, და არც წესი.

მეორე დღესვე მორბის გლიჯინ-გლიჯინით რედაქციაში. უკმეხათა და უზრდელათ გიბრიალებს თვალებს და მოურიდებლათ გიყვირის.

— რატომ არ დაიბეჭდა ჩემი ლექსი, მოთხრობა... კორესპონდენცია... წერილი. დამიბრუნეთ უკან, სხვაგან წავიღებ, კიდეც მეხვეწებიანო.

— მოგვითმინეთ, ყმაწვილო, ჯერი იქნება, გადავიკითხავთ, შევასწორებთ, ვნახავთ.

— რას მიქვიან შესწორება! დამიბრუნეთ ახლავე!

თქვენც იძულებული ხართ მოუძებნოთ წერილი. ქორივით გტაცებთ ხელიდან და გასვლისას ისე მოაჯახებს კარებს, რომ გული გადმოგიტრიალდებათ.

უყურებთ ასეთ „მწერლებს“ და თან ჰფიქრობთ:

რა არის ეს თავხედობა, თუ უზრდელობა?...

ჭეშმარიტათ საცოდავნი არიან გამგენი დღევანდელის რედაქციებისა!...

დიახ, დაიკარგა პატივისცემა რედაქციებისადმი, გაზეთის თანამშრომლებისადმი. დაიკარგა ძველებური ზნე ჩვეულებაც მწერლობისა.

დღეს ვინმე—ორი სამი სტატიისა თუ ლექს—მოთხრობის დამწერს ისე მოაქვს თავი, თითქოს მართლა იმაზე იყოს დამყარებული მთელი საქართველოს ბედნიერება!...

მაგალითისათვის შორს არ წავალ. დავასახელებ ორათ ორ მაგალითს წინა ვანდელ საახალწლო ნომრებიდან. გადაშალეთ დიდი პრეტენზიების გაზეთი „მეგობარი“ და წაიკითხეთ დიდათ პატივცემულ დალის წერილი: „პოლიტიკური მიმართულებანი საქართველოში 1915 წელს.“ დაუკვირდით ამ წერილის კილოს, ჯავრს, ტრაბახს და დასკვნას და თქვენ დამეთანხმებით რომ ასეთ ხალხთან თანამშრომლობა კი არა თანამყოფლობაც კი სახიფათოა. ერთი კალმის მოსმით მოსპო დალოცვილმა დალმა მთელი ასი წლის ნაფიქრალი და ნააზრევი, ერთის ხელის გაქნევით გაანადგურა კურთხეულის შვილმა ყველა ის კარგი და კეთილი, რაც ჩვენ წინათაობას გაუკეთებია და რასაც რამდენიმე თაობის გრძნობა და გონება მოხმარდა.

ბ-ნ დალსა ჰგონია, არა ჰგონია კი არა იგი პირდაპირ გვიბრძანებს: დამიჯერეთ ყოველივე ფედერალისტებმა გავაკეთეთ და რაც ჩვენ გარეშეა, ყოველიფერი ეშმაკეულიაო. განა შეიძლება ასეთი ტრაბახი და ბრძანებლობა? განა ეკადრება დალისთანა შემთხვევით პუბლიცისტებს ასეთ კილოზე წერა და ლაპარაკი?

რა იქნა ან სიმართლე, ან ისტორია, ან შედეგები განვლილის ცხოვრებისა? რათ ივიწყებენ შრომას ილია ჭავჭავაძისას, აკაკისას, ვაჟასას, განა რომელ „პარტიას ეკუთვნოდენ იგინი? ვისი პარტიები და (გლახა პარტყებიც) არიან ჩვენებური ფედერალისტები?

მაგრამ ამას ვიღა კითხულობს? რაკი ხელთა აქვთ ჩოგანი ისე ურტყავენ და ისე იქნევენ, როგორც მათ ეპრიანებათ! სწორე მოგახსენოთ, როცა მე ეს წერილი წავიკითხე ოთოთაანთ ქორის გარდა, გამახსენდა ერთი ჯიშის მამალი, რომელსაც **პლიმუტრუკის** ჯიშსას ეძახიან ფრინველთა მომშენებელნი. ამ ჯიშის მამალს სხვა ჯიშის მამალი არ დაენახვება. მოჰკრავს თუ არა თვალს სხვა ჯიშის მამალს, ისე გაიფხორება, როგორც ინდოური და ვაი იმას ვინც ახლოს მიუდგება მას!..

მაგრამ მხოლოდ შეხედულება აქვს ასეთი მედიდური, თორემ ხორცი მისი არ ვარგა და ხმა. ჩხავის ტურასავით და ხორცი აქვს ჩალასავით უგემური.

გარეგნობით ჰხიბლავს იგი ადამიანს და ბევრი ხარბი კაცი ეტანება ამ ჯიშის ქათმების მოშენებას, რადგანაც თითო 10—15 გირვანქას იწონის, თორემ ისეთი უგემური ხორცი აქვს, რომ ჰკიანი კაცი ოსური ჯიშის ძიძუას ამჯობინებს...

პლიმუტრუკის ჯიშის მამალს გვაგონებს „სახალხო ფურცლის“ თანამშრომელი, „ცნობილი“ ლექტორი გრ. რობაქიძეც. ამ დალოცვილის შვილსა ჰგონია რომ ქართული მწერლობა მხოლოდ იმ დღიდან იწყება, როცა მან თავ სი „**ფრაგმენტების**“ (თითქო ქართული სიტყვა ალარ იყოს.) წერას მიჰყო ხელი და მწერალიც მხოლოდ ის არის, რომელსაც მისი ფრაგმენტული მაღალნიჭიერება იცნობს და ალიარებს.

მე მიყვარს სამი რამეო—რიხიანათ ბრძანებს ბატონი გრ. რობაქიძე. (პლიმუტრუკის მამალიც იმიტომ იფხორება ხოლმე რომ, თავის თავის მეტი არავინ ახსოვს.) დიახ **მე** მიყვარსო—გვამცნობს იგი—ფილოსოფია, რელიგია და ხელოვნებაო. (მერე სხვას კი ეჯავრება, ბ-ნო გრ. რობაქიძევ, თუ თქვენი თავის მეტს არავის ხედავთ?) თუმცა ჩვენ ჯერ არ ვიცით რას ეძახის ბ-ნ რობაქიძე „ფილოსოფიას“, რადგანაც ამის განმარტება ჯერ მას არ მოუცია, არც ის ვიცით თუ რა „ჯურისაა“ მისი „რელიგია“—ძიება ახალი ღმერთისა, თუ აღდგენა ძველებურის პაპის დროის სამოთხე ჯოჯოხეთისა; არც ის ვიცით, თუ როგორ ესმის ბ-ნ რობაქიძეს ხელოვნება, რადგანაც ძრიელ ბუნდოვანად აქვს განმარტებული მას ეს „ხელოვნება“. მაგრამ ის კი კარგათ ვიცით, რომ, თუ მისი არშინითა ვზომეთ, გვგონია, სიტყვა კაზმულ მწერლობაში მარტო მისი „კოცონი“-სა გრიშაშვილის „ოქროს ფეხისა“ და დარიანის „პაპუკი ქმარი პირველ ღამეს“ მეტი ალარა დარჩებარა.

ჩვენ გულახდილათ უნდა მოგახსენოთ რომ პატივცემულ ლექტორს გრიგოლ რობაქიძეს მართლაც სწამს სამი რამე მაგრამ ეს სამი რამე არის: 1) თავისი „თავი“ თავისი „კოცონი“ და ტიტველი და შიშველი... ლექსები, ლექსები აღმძვრელნი მხეცურის ჟინისა და აღმტყინებელნი უდროოდ დაუძლურებულ ვნებათა-ღელვისა. ხოლო თუ ეს „ხელოვნებაა“ მაშინ ჩვენ რაღა გვეთქმის?

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ჩვენი ახალგაზდა პოეტების უმრავლესობას მართლაც სწამს რობაქიძის „კოცონის“ ხელოვნება და ხშირათ ჰბაძავს ბოლომდე იმ უწმაწურობას, რომელიც „კოცონისთანა“ ლექსებშია აღწერილი...

არა, ბატონო ახალგაზ[illegible], ბ-ნ რობაქიძის მიერ ჩამოთვლილი ლექსები კი არ არიან ხელოვ[illegible] ნური არიან „ქალეთ [illegible] შვილისა, აღწერა [illegible] ვერის გარეგნობისა“, აღწერა მისგანვე ომისა „თორნიკე ერისთავში“, „მზის ღვთის ტბა“ ილიასი და მრავლისგან მრავალი სხვა ლექს პოემები ჩვენის გამოცდილის მგოსან-მწერლებისა. გინდათ ღირსეული მგოსნები იყოთ? შეისწავლეთ კოროფეები ჩვენის მწერლობისა, გინდათ საუცხოვო იყოს ფორმა თქვენის ლექსებისა? შეისწავლეთ ლექსი წყობა ბესიკისა, ალექსანდრე ჭავჭავაძისა, ბარათაშვილისა, აკაკისა, ილიასი და სხვათა მათთა მსგავსთა. გინდათ იყოთ უკვდავნი? აღწერეთ კვნესა თქვენის ტანჯულის სამშობლოსა, ასწერეთ ტანჯვა და წვალება მშრომელის ხალხისა, დაჰგმეთ უსამართლობა დღიურ სიცხადისა, ებრძოლეთ ყოველგვარ უსამართლობასა და პლიმუტრუკობას, თორემ რაც შიშველი ქალებისა და „პირველ ღამე—კოცონების“ მსგავსი ლექსებით თქვენ ხელოვანის სახელი მოიპოვოთ, ის მხოლოდ ბ-ნ რობაქიძეს დააკვებთ და ჩვენ კი გაგვანთავისუფლეთ ამ გვარის ხელოვნებისაგან.

რაკი ახალგაზდა მგოსნებზე ჩამოვარდა ლაპარაკი—იმას მიხედვით რასაც ჩვენ ვურჩევთ ახალგაზდა მგოსნებს ამ უკანასკნელ ხუთი ათი წლის განმავლობაში გამოსულ მგოსანთა შორის მე ვაკუთვნებ პირველ ადგილს: ა. შანშიაშვილს ს. აბაშელს, გალაკტიონ ტაბიძეს და გ. ქუჩიშვილს. რასაკვირველია თითოეულ მათგანს თავისი ნაკლი აქვს, მაგრამ ყველა ჩვენი პოეტები (ოხ, რამდენი არიან მერე!) რომ გავცხრილოთ, მარტო ესენი შეგვრჩებიან ხელში.

რაც შეეხება ი. გრიშაშვილს, იგი უეჭველათ დიდი ნიჭიერი მგოსანია, მაგრამ თუ თავი არ დაანება გრ. რობაქიძეებისთანა კრიტიკოსების რჩევას, გაივლის ხანი და იგი (ი. გრიშაშვილი) დარჩება მხოლოდ „სილონებისა, გამაძღრებისა და ხელოვნურათ ვნებათა ღელვის გამომწვევლთა“ მგოსნათ.

ამიტომ ცოტა არ იყოს არ ვეთანხმებით ჩვენის გაზეთის პატივცემულ თანამშრომელს ბ-ნ ისარს, როცა გრიშაშვილი ჩვენის მწერლობის ვარსკვლავათ მონათლა.

რის მაქნისია ისეთი ვარსკვლავი, რომელიც ბეთლემისაკენ კი არ მიგვითითებს, არამედ შიშველი ქალის შიშველ ფეხებს ელერსება!...

მე არ მიყვარს მყინვარი, იგი მაღალი და მიუწდომელიაო—ამბობს ილია, მე მიყვარს თერგი, გიჟი და ცელქი თერგი, იგი ცხოვრების მაჩვენებელიაო.

ცხოვრება,, ცხოვრება აგვიწერეთ ჩვენო მგოსნებო, თორემ „სატრფოს ქვიშა“ მოყრილი წერილები რომ გვაკითხოთ, იმიტომ რომ მერე ქვიშას **კნაწა-კნუწი გაჰქონდეს** ხოლმე ჩვენ კბილებში“—ვერც მგოსნობას მოგიწონებთ და ვერც ენასა და ვერც სიტყვა პასუხს.

ამით ვათავებ ჯერ-ჯერობით ჩემ შენიშვნებს და რადგანაც იმედი მაქვს, რომ ჩემ ნათქვამს იწყენენ და გამომეხმაურებიან „ფილოსოფია—რელიგიისა და ხელოვნების ქურუმნი“—შეიძლება შემდეგში უფრო ზედ მიწევნით მომიხდეს ამაზე ლაპარაკი.

ძველი თაობის მწერალი.

მეორე იძულებითი პასუხი ბ-ნ ლადო ბზვანელს.

ახირებული რეცენზენტი გამოდგა ბ-ნი ბზვანელი: ჩვენი მას არაფერი ესმის და მისი ჩვენ ვერაფერი გავიგეთ. რასა სწერს, ვისთვისა და რისთვისა სწერს, ალახმა იცის! თავი ნამდვილ რეცენზენტად დაუსახავს, გალამძღარი ჯოხის ცხენზე და ხან ალმა აქენებს, ხან დაღმა. ეს უკანასკნელი მისი წერილი, რომელიც „სახალხო ფურცლის“ მე-461 ნომერში იყო მოთავსებული, მკითხველი საზოგადოების და მასწავლებლების სასაცილოდ აგდებაა და სხვა არაფერი! ნუ თუ ბ-ნ ლადო ბზვანელს ჰგონია, რომ მკითხველ საზოგადოებასა და მასწავლებელთა შორის არ მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელნიც მოსთხოვენ მას იმის დასაბუთებას, რასაც იგი იწუნებს, ან რასაც იწონებს?

ჩვენ გადაჭრით ვსთქვით, რომ ჩვენ მიერ შედგენილი სახელმძღვანელო უნაკლულო არ იქნება, მაგრამ აქედან სრულებითაც ის აზრი არ გამომდინარეობს, რომ, თუ ბზვანელმა სთქვა, „გუთანი“ სახელმძღვანელოდ გამოუსადეგარიაო, ამას ყველა დაუჯერებს.

ბ-ნ ბზვანელს ავიწყდება ის უბრალო და მარტივი ჭეშმარიტება, რომ თქმას ფაქტებით, ციტატებით და საბუთებით დამტკიცება უნდა. თორემ ზოგად ფრაზას ახლანდელ დროში ვისთვის რა მნიშვნელობა აქვს? დიდებულ მეცნიერებსაც უსაბუთოთ არავინ არაფერს უჯე-

---

ჩემი ფიქრით, უკვე ბერძენთა ძველმა ფილოსოფოსმა ეპიკურმა გადასწყვიტა ღრმა საბრძნულად.

განვიმეორებ: ცოცხალ ადამიანს შეუძლია გადასწყვიტოს მხოლოდ სიცოცხლის საკითხები და, როდესაც ის მოისურვებს შეუძლებელს, განუხორციელებელს, ე. ი. სიკვდილის აუცილებლობასთან ბრძოლას, უეჭველია, ან სასოწარკვეთილების უფსკრულში ჩავარდება, როგორც ტეტმაიერი, ან სარწმუნოებრივ რომანტიზმში შესტოპავს.

განვიხილოთ უნიადაგოთა მეორე ტიპი, რომლის ხასიათიც ასე მშვენიერად დაახასიათა ჰენრიკ სენკევიჩმა თავის მოთხრობაში „უდოგმატო“ (1891 წ.) ლეონ პლოშოვსკი ევროპიულად განათლებული, ხელოვნების მოყვარე, მცოდნე, ფილოსოფიის თაყვანის მცემელ და იმავე დროს მომჯადოებელი სილამაზის პატრონია, მაგრამ აკლია ნების ყოფა და, ამიტომ, მტკიცე, შეურყეველი რწმენა და მცნება, ე. ი. დოგმატი, არ გააჩნია და პესიმიზმით გამსჭვალულია.

ის შეიყვარებს თავს უბრალოსა და და გულწრფელ ქალიშვილს ანელკას, მაგრამ მხოლოდ უმანკო სიყვარულის გამოუთქმელი სასიამოვნო წამებით თვრება, საყვარელში მხოლოდ სატრფიალო საგანსა ხედავს და ცხოვრების ეკლიან გზაზე მასთან ერთად ულელში შებმას გაურბის.

პლოშოვსკი შორდება სატრფოს, უაზროდ ატარებს დროს საზღვარ გარედ და, როდესაც ანელკა უკვე სხვას ეკუთვნის, ცდილობს კვლავ გადაიბიროს, მაგრამ ამაოდ: ანელკას სწამს დოგმატი, რომლის გამოც მოვალედ სთვლის თავს, ქმარს მხარში უდგეს და ტვირთის ზიდვა გაუადვილოს. დასასრულ ანელკას ქმარმა, რომელიც გაკოტრდა, თავი მოიკლა,—ანელკა კი მშობიარობას გადაყვა და მხოლოდ სიკვდილის წინ გამოუტყდა პლოშოვსკის, შენ სიყვარული გულში მქონდა დამარხულიო

და პლოშოვსკიმაც სასიკვდილოდ გაიმეტა თავი.

რას წარმოადგენს პლოშოვსკის ცხოვრება? თითქმის არარაობას, რადგან იგი, შეიძლება ითქვას, ცხოვრების უარყოფაა. როგორც უსაქმურობაში ლხრდილს, მას ეშინია ყველაფრის, რაც კი გარჯას, ენერგიის დახარჯვას, მოითხოვს. მას სურს ჰკრიფოს ყვავილი, თესვა ეს ეზარება.

ის ნაზი, უნებისყოფო, უენერგიო სიბარიტია.

მაშასადამე, პლოშოვსკის პესიმიზმი იმ ცრუ შეხედულებიდან გამომდინარეობს, ვითომ კაცს შეუძლია დასჯერდეს ცხოვრების რომელსამე ერთფეროვნებას სხვადასხვაფეროვნებასთან დაუკავშირებლად. ყველაფერი, ესთეტიკა, ხელოვნება, მეცნიერება და სხ. ჰკარგავს მნიშვნელობას, როდესაც კავშირი არ აქვს ცხოვრებასთან. მაგალითად, ფიზიოლოგიისა, ბიოლოგიისა და ბოტანიკის შეუჩერებელი წინ-სვლა შეუძლებელი იქნებოდა, ეს მეცნიერებანი რომ უმნიშვნელო ყოფილიყვნენ მკურნალობისა და მეურნეობისათვის. სილამაზის გაღმერთება უაზრო იქნებოდა, გამრავლებასთან რომ დაკავშირებული არ ყოფილიყო. და სქესობრივი მოთხოვნილება გადაგვარების გზაზე დააქანებდა კაცობრიობას, ზნეობა რომ წინ არ გადაღობებოდა. ერთი სიტყვით, ცხოვრების რომელიმე ერთფეროვნება, მრავალფეროვნებასთან დაუკავშირებელი, განცალკევებული და განყენებული,—მკვდარ არს.

ვახალ წერეთელი

რებს და ჩვენისთანა და თქვენისთანებს აბა ვინ რას დაუჯერებს! აი, როცა საზოგადოებას დაანახვებთ, რომ „გუთანი" არ ვარგა ამა და ამ მოსაზრებისა გამო, მაგალითად, იგი არ ემსახურება იმ მაღალსა და გონივრულ მიზანს, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ყოველი რიგიანი სახელმძღვანელო, ან თვით მიზანი ამ წიგნისა არის უვარგისი და მავნებელი, ან საკითხავი და სასაუბრო მასალა წიგნისა შეუფერებელია, პლანი და სისტემა მასალისა სალი პედაგოგიკის წინააღმდეგია, მასალა ლოღიკურად დაუკავშირებელი, ენა წიგნისა მძიმე, გაუკეთარი და ქართული გრამატიკის კანონების წინააღმდეგი და სხვა მრავალი ამისთანა საბუთი. შემდეგ ყველა ამ უკულმართობას წიგნიდან ამოღებული ციტატებით მკითხველს ცხადად დაანახვებ, აი, სწორეთ მაშინ ყველა დაგიჯერებთ, რომ თქვენი რეცენზია საფუძვლიანია, რომ იგი საქმის სიყვარულით არის გამოწვეული და კალმისათვის მართლა წმინდა განზრახვით მოგიკიდნიათ ხელი. ვიმეორებთ, როცა ასე მოიქცევით, მკითხველი საზოგადოებაც მადლობელი და კმაყოფილი იქნება და ავტორიც გაჩუმდება და ეცდება ისარგებლოს ნაჩვენები შეცთომებით და შემდეგი გამოცემა გააუმჯობესოს. ვიდრე ასე არ მოიქცევით, ბ-ნო ბზვანელო, თქვენს რეცენზიას არავისთვის არაფერი მნიშვნელობა არ ექნება; ეს მხოლოდ წყლის ნაყვა იქნება და ჯოხის ცხენით ჯირითი. ჩვენ ასე გვესმის რეცენზიის წმინდა დანიშნულება და თუ ვსცდებით, სცადეთ, დაარღვიეთ ეს დებულება.

ჩვენ, როგორც შემადგენელებს, შეიძლება მოგვწონდეს ჩვენი წიგნი და ვერ ვხედავდეთ ზოგიერთ მის ნაკლულევანებას, ეს ჩვენ ასეა თუ ისე გვეპატიება, როგორათაც ეპატიება მოსიყვარულე მშობლებს სიყვარული თავისი ჯონჯის შვილისა, მაგრამ თქვენ, როგორც რეცენზენტს, უსაბუთოდ დაწუნებას და მოწონებას არავინ გაპატიებთ.

თქვენ ბრძანებთ, რომ ვითომც თქვენს ნაცნობ მასწავლებელს თქვენთვის საყვედური ეთქვას იმის გამო, რომ „გუთანში" შეცდომა ბევრია და შენ კი ცოტა შეგინიშნავსო! ღვთის გულისათვის ერთი მიბრძანეთ, აბა ეს რა საბუთია და რა დოკუმენტი! გაგონილა ამნაირი საბუთებით შეიარაღება? ჩვენ, მკითხველებმა აბა რა ვიცით, რომ ის თქვენი ნაცნობი მასწავლებელიც ისეთი იშვიათი სარეცენზიო ნიჭით არ არის შემკული, როგორითაც თქვენ. მაგრამ ან კი რა უნდა მოეთხოვოს იმისთანა ქართველ რეცენზენტს, რომელსაც ქართული სახელები უცხო სახელებისაგან ვერ გაურჩევია და ამ შემთხვევაში თავს იმით იმართლებს, რომ სახელები „პატიკო", „ამირინდო" ძველს დროში იხმარებოდა და ახლა აღარა ხმარობენო.

გაგონილა ამისთანა თავის მართლება? ახლაც ხშირად არ გვესმის ძველი ქართული სახელები: ვახუშტი, ნოდარ, მალხაზ, ითამ, ბაგრატ, თეიმურაზ და სხ. მაშ, თქვენის აზრით, ეს სახელებიც შეუფერებელი სახელები იქნება სახელმძღვანელოსათვის. მაგრამ „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი". გარწმუნებთ, ბ-ნო ბზვანელო, თქვენ რეცენზენტად არ ვარგებულხართ; თქვენი სფერო სხვაა, იქ რომ განაგრძოთ მუშაობა, უკეთესი იქნება.

ბ-ნ ბზვანელს არ მოსწონს „გუთანში" მოთავსებული მოთხრობები: „პატარა ფლორენციელი მწერალი", „ავათმყოფ მამასთან", „პატარა გმირი" და სხ. მერე რა წუნსა სდებს ბ-ნი ბზვანელი ამ სტატიებს? თურმე გრძელი სტატიები ყოფილან ესენი, სხვა წუნს არ გვისახელებს. მაგრამ გავკადნიერდებით და ვკითხავთ ბზვანელს: იცნობთ, ბ-ნო ბზვანელო, რა მწერალია დე-ამიჩისი? ეს ის მაღალნიჭიერი საყმაწვილო მწერალია, რომლის თხზულებანი აღტაცებით კითხულობენ არა მარტო მის სამშობლო ქვეყანაში—იტალიაში, არამედ მთელს დედამიწის ზურგზე. მისი თხზულებანი გადათარგმნილია ყველა ევროპიულ ენაზე და სხვათა შორის ჩვენს ქართულ ენაზედაც ნიჭიერი სახალხო მასწავლებლის, აწ განსვენებულის, იასებ ცისკარიშვილისაგანაც. იტალიაში წერა-კითხვის მცოდნე ოჯახს ვერ ნახავთ, რომ ეს წიგნი არ იყოს [illegible] თითქმის მეორე სახარებად [illegible] და [illegible] ზემოხსე-

ადგილები ამ წიგნიდან; ეს ის ადგილებია, რომლის წაკითხვა და მოსმენა სიტკბოების და ზნეობრივი კმაყოფილების [illegible] აგრძნობინებს არა მარტო [illegible], არამედ მოზრდილსაც: ამ მო[illegible] გატარებულია და [illegible] [illegible] და უკეთილშობილესი [illegible] და მზრუნველობა შვილის სიყვარულ[illegible] და მშობლებისა [illegible] მშობლების [illegible] ამისთანა სტატიებისადმი. და განა [illegible] ჩვენს ქართველ [illegible] წაკითხვა და შეთვისება [illegible] თულ მკვირცხლ—გონებიან გაუძნელდებათ?

ამ სტატიების წინააღმდეგ იტყვის რასმე მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც ან არ წაუკითხავს ეს სტატიები, ან თუ წაუკითხეს, წაკითხულისა ვერაფერი გაუგია. „გუთანი" რუსული სახელმძღვანელოაო, ბრძანებს ბ-ნი ლადო ბზვანელი. თუ, ბ-ნო ბზვანელო, თქვენს საკუთარს ცოდნას დაენდეთ ამ დასკვნის გამოყვანაში და ვიღაც გამოცდილი და მშრომელი პედაგოგი არ გეხმარებოდათ, მოურიდებლათ უნდა მოგახსენოთ საკუთრად თქვენ, რომ თქვენ არც რუსული სახელმძღვანელოსი გაგეგებათ რამე და არც ქართულისა... მიმხვდარი კი ვართ, რამაც გაიძულათ ასეთი უნიადაგო დასკვნა გამოგეყვანათ თქვენი დაკვირვებისაგან: რადგანაც რუსული მასალისგან არის გადმოღებული „გუთნის" ზოგიერთი განყოფილებისათვის მოთხრობები, დაუფიქრებლად და შეუგნებლად გადაგიწყვეტიათ, რომ „გუთანი" რუსული სახელმძღვანელოა". მაშ გერმანული მასალიდან რომ გადმოგვეღო ზოგიერთი საჭირო სტატიები, მაშინ ჩვენი სახელმძღვანელო უთუოდ გერმანული იქნებოდა, ხომ! აბა ერთი კი კალამი ჰქენით და მიგვითითეთ ისეთ ქართულ მწერალზე, რომლის ნაწარმოებშიაც შესაძლებელი იქნებოდა მოგვეძებნა „ცხოველთა და მცენარეთა შორის" და „ოთხი სტიქიონის"-ს განყოფილებებისათვის სტატიები და მოთხრობები!

როგორ ფიქრობ, ბ-ნო რეცენზენტო, თვით რუს პედაგოგებს საიდან აქვთ ამოღებული თავ-თავის სახელმძღვანელოებისათვის ზემოხსენებული დარგის მოთხრობები? ეს თქვენ უნდა იცოდეთ. არ ცოდნა არ ცოდვაა, მაგრამ ასეთ არ ცოდნასთან თქვენებური მაღალ ფარდებიდან გადმოძახილი თქვენი პედაგოგიური სიგრძე-სიგანის ფარგალში ძნელად მოთავსდება.

ან ეგებ იმ შთაბეჭდილების გამო ვეღარ გამოერკვიეთ, რომელიც ქალაქის პირველდაწყებითი სკოლაში განგიცდიათ, როცა საეკზამენო წერილობითი სავარჯიშოსათვის მასალა ვერ მოგიძებნიათ. აქ, შეიძლება, სხვა რამე გასაოცარიც მოხდა, მაგალითად, ის, რომ ჭავჭავაძის კალმის ნაწარმოებიც „დასაწუნი შეიქნა მხოლოდ იმის გამო, რომ ამ სტატიაში ნახმარია სიტყვა „კონკილა", რომელიც აღნიშნავს ქართული ურმის ერთს უსაჭიროეს ნაწილს. მაგრამ აქ ჩვენი სახელმძღვანელოს უვარგისობა არაფერ შუაშია.

თქვენზე უკეთესმა რეცენზენტებმა და პედაგოგებმა გაარჩიეს ჩვენი სახელმძღვანელო, ასწონ-დასწონეს მისი ავი და კარგი, და იმათ რჩევათგან ჩვენ მივიღეთ, რაც მისაღები და სასარგებლო იყო წიგნის გასაუმჯობესებლად, მაგრამ თქვენი ნარჩევი, გატეხილი უნდა გითხრათ, ჩვენ არ გამოგვადგება.

აბა გვიბრძანეთ, რატომ უნდა გამოგვეცვალა ჭავჭავაძის ნაწარმოების „პატიკო" და „ამირინდო", ან რას უშავებს „რადონიცა" „ღვთისნიერი სალდათი"-ს დედა აზრს? ან დე-ამიჩის ნაწარმოებებში რატომ უნდა ამოგვეშალა სახელები: „რობერტი", „ჩეჩილიო" „კროსი", და სხვ.? იმათ მაგიერათ რომ კიდევაც მოსახერხებელი იყოს, მარკოზა, მიქია, ივანერა და თუ გინდა ლადო-ია-ზღვეველანა, დაეკითხეთ თქვენს პედაგოგიურს გამჭრიახობას, ბევრს რასმე შეიძენდა ამ სტატიების მიზანი?

თქვენს პედაგოგიურს შეუგნებლობას აშკარად ამტკიცებს ის ფაქტი, რომ გიმნაზიურის სახელმძღვანელოზე გვითითებთ. რა საერთო აქვს ამ წიგნს ჩვენს სახელმძღვანელოსთან? ნუ თუ აქამომდე ვერ გაგირჩევიათ ლიტერატურის შესასწავლი ქრისტომატია იმ სახელმძღვანელოთაგან, როგორიც არის „გუთანი", „ბუნების კარი" „წყარო"

ბ-ნო ბზვანელო, კალმით მუშაობა [illegible] იარაღია: იგი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ სიმართლეს და არ იხმარებოდეს საკუთარი ტენდენციის და დაბალ შურის [illegible] დასაკმაყოფილებლად. თქვენი წერილის ბოლო კი და აგრეთვე ჩვენ მიერ შედგენილი ანბანის შესახებ ისეთი შენიშვნის დაწერა როგორიც თქვენ ინებეთ, მოწმობს, რომ თქვენ იცავთ არა სამართლიანობას, არამედ თქვენს უადგილო და [illegible] თავმოყვარეობას. [illegible] შედგენილი ანბანი არა[illegible]ისათვის სადაოს არ შეადგენს, ამას ბ-ნ ი. ოცხელის პასუხიდანაც დაინახავს მკითხველი. თქვენ ამ პასუხს არ მოუ[illegible]დეთ და ბ-ნ პ. ჭანიშვილს ცილისწამება სამართლად მიიღეთ.

„გუთნის" შემდგენელნი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგს:

20 დეკემბერს სოფლის სამმართველოში ყრილობაზე ხამტრედიის საზოგადოებამ მოისმინა რა სხვა კითხვებთა შორის გაზ. „მეგობრის" მიერ პეტრე გელეიშვილის წინააღმდეგ გამოლაშქრების შესახებ მუდმივი სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც შეიცავდა ხელმოსაკიდი საბუთებით ყველა ხსენებულ გაზეთში წამოყენებული ბრალდებების გაბათილებას გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

მიმდინარე 1915 წელი შეიქნა ჩვენთვის მეტისმეტად აუტანელი. ომისაგან გამოწვეული მძიმე პირობები გაორკეცდა უკანასკნელი სამი წლის მოუსავლობით მცხოვრებლების უმრავლესობას წასულ წლის დეკემბრიდან არ ჰქონდა საჩრო სამიდი ამას მიემატა გაუმაძღრობა ადგილობრივი ვაჭრების, რომლებმაც ასწიეს ფასები პირველ მოთხოვნილების საგნებზე ზღაპრულ ციფრებზე. საკმარისია გავიხსენოთ, რომ სიმინდიც კი, შეძენილი 15—20 კაპ. ფასობდა 1 მ. 80 კ., აქაური [illegible] ვაჭრებმა გადამალეს კიდეც პირველი მოთხოვნილების საქონელი სპეკულიაციის მიზნით.

[illegible] კრიტიკული მდგომარეობაში ჩვენმა რწმუნებულმა პეტრე გელეიშვილმა რამოდენიმე შეგნებული და გულშემატკივარი პირების დახმარებით დაარსა „მომხმარებელთა საზოგადოება, [illegible] სიმინდი, რომელსაც ჩვენ ვღებულობდით თითქმის ნახევარ ფასად წინააღმდეგ ხაზინო ფასებისა. ასეთი მისი მოქმედება, რა საკვირველია, არ დარჩა სასიამოვნოთ ადგილობრივ ვაჭრებს, მათ მიმართეს ყოველივე საშვალებას, რომ ხელი შეეშალათ მის ჩვენთვის სასარგებლო მუშაობისათვის. ჩვენმა მტრებმა გამოიყენეს ყველა საშვალება, რომ მიეღწიათ თავის მიზნისათვის — მოეშორებიათ საქმეს ჩვენი ვექილი და მით განეგრძოთ თავისი უკანონო მუშაობა ჩვენ გასაყვლეფად.

ქუთათური გაზეთის „მეგობრის" უკანასკნელი გამოლაშქრება, რომელიც მოწყობილია სამტრედიის ვაჭრების მიერ, არის მიმართული ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ.

[illegible] ამის გამო ჩვენ ერთხმათ გადავსწყვიტეთ გამოვსცხადოთ სასტიკი პროტესტი გაზეთ „მეგობრის", რომელმაც დაისახა მიზნათ აქაური ვაჭრების ინტერესების დასაცავათ ჩირქი მოსცხოს ჩვენი ვექილის ჩვენთვის სასარგებლო მოქმედებას. გამოვსთქვამთ სრულ თანაგრძნობას ჩვენს ვექილს პეტრე გელეიშვილს და ვითხოვთ მას ნუ მიაქცევს ყურადღებას გაზ. „მეგობრის" ცილის წამებას და განაგრძობს თავისი ჩვენთვის ასე სასარგებლო მოქმედებას ჩვეულებრივი ენერგიით.

ყრილობის მინდობილობით სარევიზიო კომისიის წევრები: 1, ილარიონ ი. გვაძე. 2, ნიკოლოზ დენდე 3, ერმალოზ პაპავა.

სარევიზიო კომისია.

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

რედაქტორ-გამომც. ი. ცინცაძე.

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	5 ს.	50 წ.
„	საღამ.	6 ს.	57 წ.
ბათომიდან	დღისით	1 ს.	25 წ.
„	ღამის	2 ს.	23 წ.
ფოთიდან	დილის	10 ს.	8 წ.
ტყიბულიდან	საღამოს	7 ს.	39 წ.
შორაპნიდან	დილის	9 ს.	18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს.	35 წ.
„	ღამის	1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	დღისით	5 ს.	30 —
„	დილის	4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	დღისით	4 ს.	27 წ.
ტყიბულისკენ	დილის	8 ს.	20 წ.

[illegible] ახალი კედლის კალენდარი 1916
შოთა რუსთველის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის სურათ
გამოცემული პ. ოცხელის და ამხ.
ღირს სამი აბაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანერგე ამერიკული ვაზ
„[illegible]"
ქუთაისში. კახიანაურ, საკუთარი სახლი.
გვაქვს გასაყიდათ დამზადებული საკუთარ სან ში, იმერეთში, 300000 ლერწი ამერიკული ვაზისა გიბრიდი, დამყნილი და დაუმყნ ლი, საკუთარ ორ სანერგეში ფრანციაში ბულია არა ნაკლები 800000 ძირისა, რო კალიც მსურველს შეუძლია მოითხოვოს
უკეთ დაკვ აის ცნობას მარტამდი გაგზავნის.
პრეისკურანტი და ახ ადარიგება მყიდველებს უფასოთ დაეთმობა.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით საა
ტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებ
„რუსეთი" („როსსია
სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოც
სა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10
ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ.
კანტორაში ქ. ქუთაისში, ორბირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,
ქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის
მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით ხიმშის ძე ლოლ

ქუთაისის განყოფილება
ამხ.-ბა „პროვოდნიკი"
გვაქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი
კალოშები საზაფხულო და ს ყველა არტიკულ ლის ამორჩევით
საეტლო შინები საერთაშორისო „სლონ" და „სვე
და აგრეთვე სხვადასხვა საქონელი საკუთარი ნაწარმოების.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სო
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალეური საქონელი.
ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე

ავადმყოფნი გონორეით სუსუნა
დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობ იერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი სა რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ ს კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა ბლენიოლ
პროფ. მორნისა.
ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელ და საქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, რო კალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლი და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის ბლენიოზოლი ხპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმეშიდაც უნდა იყოს სხეულში ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე ს ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებ ნაწილებს. ყველანი განსაკუთრებლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან დებული არიან იხმარონ „ბლენიოზოლი", როგორც ერთადერთი ნორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენ მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით ლია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდ რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლ ავათმყოფოებში.
ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილება პრაქტიკულ ლაბორატორიისა" პ. შავერზაშვილის სააფთიაქო. ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა
პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ
ბ. კიდევგოვი იწერება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლ შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულ გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალე ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებ კი გამხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერ ს მათავისუფლეს. თქვენი მორჩილი იპ. ნ.